მაგული მურადიშვილი

ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული

სამუზეუმო განყოფილების უფროსი, მაგისტრი.

Maguli Muradishvili

Head of the Museum Department at the Khelvachauri Center

of Culture and Arts, Master's Degree.

"მეთევზეობის კულტურა ლაზეთში - მასთან დაკავშირებული წესები და ტრადიციები"

"Fishing culture in Lazeti – the rules and traditions associated with it"

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.02

აბსტრაქტი

მეთევზეობა მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია, მისი საწყისები კაცობრიობის განვითარების ადრეულ საფეხურებს განეკუთვნება. საქართველო, რომელიც უხსოვარი დროიდან ქართველ ტომთა საცხოვრისს წარმოადგენს, შესანიშნავი პირობებით გამოირჩეოდა მეთევზეობისა და ნაოსნობის განვითარებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა ლაზეთის მკვიდრი მოსახლეობა, რომლებიც ოდითგან ცნობილი იყვნენ, როგორც საზღვაო საქმის აკრობატები, ძლიერნი, მარჯვენი, გაბედულნი და საუკეთესო მოცურავენი, რომლებსაც თავიანთ საქმეში ბადალი არ ჰყავთ. ლაზებში მეტევზეობის საქმიანობასთან არის დაკავშირებული სხვადასხვა ტრადიციები, კულინარია, ფოლკლორი, რაც თავისებურად აქვს ასახული ლაზ მარინისტ მხატვრს ხასან ჰელიმიშს თავის შემოქმედებაში, მხატვრული ტილოების კოლექცია დაცულია სარფის ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმში.

საკვანძო სიტყვები: მეთევზეობა, ლაზები, წესები და ტრადიციები, კულინარია, მებადურები, ფოლკლორი, გამოწვევები.

Abstract

Fishing is one of the oldest branches of agriculture, its origins date back to the early stages of human development. Georgia, which has been home to Georgian tribes since time immemorial, has been distinguished by excellent conditions for the development of fishing and sailing. In this regard, the indigenous population of Lazeti is interesting, who have been known since ancient times as acrobats of maritime affairs, strong, dexterous, courageous and the best swimmers, who have no equal in their work. In Lazeti, various traditions, cuisine,

folklore are associated with fishing activities, which are uniquely reflected in the work of the Laze marine artist Khasan Helimish. A collection of paintings is preserved in the Lazei Ethnographic Museum in Sarpi.

Keywords: fishing, lazes, rules and traditions, cooking, netters, folklore, challenges.

მეთევზეობა მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია, მისი საწყისები კაცობრიობის განვითარების ადრინდელ საფეხურებს მიეკუთვნება. თევზის საკვებად გამოყენებამ ადამიანის ველურ წინაპარს საშუალება მისცა გამხდარიყვნენ დამოუკიდებლები ჰავისა და ადგილდებარეობისგან, ისინი გაჰყვნენ მდინარეთა მიმართულებას და ზღვის სანაპიროებს და ველურ მდგომარეობაშიც კი შეძლეს დედამიწის უდიდეს ნაწილზე განსახლება. თევზჭერა, ნადირობა, კაცობრიობის კულტურის ყოველ საფეხურზე გვხვდება, დაწყებული ველურებიდან რომელთაც არსებობისთვის სხვა საშუალებები არ გააჩნდათ და დამთავრებული ცივილიზაციური ხალხებით. საარსებო საშუალებათა წარმოების ხანგრძლივ გზაზე ადამიანთა საზოგადოების ყოფაში თევზის დამკვიდრება და თევზჭერისათვის საჭირო იარაღებისა და წესების გამოყენება არა მარტო ხელს უწყობდა მეთევზეობის განვითარებას არამედ საფუძველს უყრიდა ნაოსნობასაც. ცეცხლი და ქვის ცული მეტწილად იმის შესაძლებლობას იძლეოდა რომ ადამიანმა მთლიანი ხისგან გააკეთა ნავი. საქართველო, რომელიც უხსოვარი დროიდან ქართველ ტომთა საცხოვრისს წარმოადგენდა, ჰქონდა შესანიშნავი პირობები მეთევზეობისა და ნაოსნობის განვითარებისათვის (ლაზური ხალხური პოეზია, 1972:55). მდინარეები, ტბები, ზღვა - აი, ის სიმდიდრე და საშუალება, რომელთა გამოყენება ქართველურ ტომებს უძველესი დროიდან უნდა სცოდნოდათ გადმოცემულია სხვადასხვა წერილობით ცნობებში.

ქართველი ზღვაოსნებისა და მეთევზეთა შესახებ წერილობით ცნობებს ვხვდებით ბერძენ და რომაელ მწერალთა თხზულებებში. ქსენოფონტეს გადმოცემით (ძვ.წ 431-354) მოსიკანების (იგივე სანები ანუ ჭანების) სახლში დაგვხვდა დიდ ქილებში ჩადებული „ნაჭრებად დაქნილი და დამარილებული დელფინის ხორცი, სხვა ჭურჭელში კი შეკაზმული დელფინის ქონი, რომელსაც მოსიკანები ისევე იყენებდნენ, როგორც ელინები - ზეითუნის ზეთს“. ქსენოფონტესავე თქმით, საყურადღებოა ასევე, ჩანაწერი. ელინებთან მოლაპარაკებასა და ურთიერთშორის ერთგულების ფიცის დადების შემდეგ მოსიკინები: „მოვიდნენ ერთი მთლიანი ხისგან გამოთლილი სამასი ნავით, თითოეულ ნავში სამ-სამი კაცი იჯდა“ [ქსენოფონტეს ანაბასისი, 1967:104].

ძველ კოლხებს ნაოსნობასთან ერთად განვითარებული ჰქონდათ კარტოგრაფიული ხელოვნებაც. ანტიკურ ხანაში ტრაპიზონის დასავლეთით მდინარე ჰალისის შესართავთან განვითარებული იყო მარილის წარმოება, რასაც უდიდესი სავაჭრო და სათევზაო მნიშვნელობა ჰქონდა. ლაზები საზღვაო საქმის აკრობატები არიან, ძლიერნი, მარჯვენი, გაბედულნი და საუკეთესო მოცურავენი, ისინი

თითქოს თავიანთი სახიფათო პროფესიისთვის დაბადებულან და ბადალი არ ჰყავთო [ლაზური ხალხური პოეზია, 1972:64].

ყოველი სამეურნეო საქმიანობა, რომელსაც ისტორიულად მკვიდრი ადგილი უჭირავს ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში, წარუშლელ კვალს ტოვებს მათივე მატერიალური და სულიერი კულტურის თვალ საჩინო სფეროში, კერძოდ ზეპირსიტყვიერი შემოქმედება. ამის შესანიშნავი მაგალითი ქართულ ეთნოგრაფიული ყოფა, სამეურნეო შრომის ლექსებით და სიმღერებით მდიდარი ქართული ფოლკლორი [ხასან ჰელიმიში ლექსები ბირაფები, 200].

მეთევზე-მებადური თავისი ბადითა და ანკესით, გოდორითა და ფაცერით, ნავითა თუ ნიშით მხატვრულ ფორმებში გამოსახავს თავის შრომას „სველ მინდორზე“, თავის აზრებსა და შეხედულებებს გამოხატავდა ადათ-წესებში და ქმნიდა ხალხური ხელოვნების ნიმუშებს. ლაზებში გავრცელებული იყო თევზის კულტი, ერთ-ერთი ასეთია: ახალდაბადებული ბავშვი ჯანრთელი რომ იყოსო 40 დღემდე სასწორის ცალ მხარეს დასვამდნენ, მეორეზე კი ბავშვის წონის დაჭერილ თევზს დააწყობდნენ, აიღებდნენ და მიწაში დამარხავდნენ რომ ბავშვი დაზღვეული ყოფილიყო ავი სულებისაგან. თევზი იყო ქართული ზღაპრული ეპოსის უპირველესი პერსონაჟი [სარფი, 2015:185]. მეთევზეს მტკიცედ სწამს წყლისა და წყლის გამგებლის არსებობა, წყარიშ მაფა იგივე წყლის მეფე, წყარიშ ოსური - წყლის ქალი. თუ გავითვალისწინებთ, რომ თევზ-ღვთაების წარმოშობა და ხალხის აზროვნებაში თევზის, ე.ი თევზაობის საწყისები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულზე ბევრად უფრო ადრინდელია [სარფი,2015:187]. მეთევზე-მებადურთა შრომის თემატიკაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან აღსანიშნავია: ლექსები, სიმღერები, თქმულებები, ლეგენდები და სხვა ჟანრის ნაწარმოებები, რითაც მდიდარია ლაზური ზეპირსიტყვიერება. თევზი და მისი ნაწარმო ერთ-ერთ საარსებო წყაროდ არის მიჩნეული და ხშირად ოჯახის ეკონომიკის ძირითად ბურჯად არის დასახული. ლაზი მეთევზე ბედნიერად თვლის თავს, როცა იგი ბევრ თევზს დაიჭერს. ლაზეთში მიწათმოქმედება იყო განვითარებული, მაგრამ ლაზს ვრცელ ველად ზღვა მიუჩნევია, მასში უპოვნია გამოსავალი „ზღვის შვილად გახდომია, თავისი ბედი იმისათვის მიუნდვია, ძველის ფინიკიელსავით“ და ამბობს:

დავიბადე მზოღაშ ჟინ,
ექ ბღურანე, ქომიჩქინ,
შექურინა ჩქარ ვარ მიღუნ,
გური კაპეტი მიღუნ.
ზღვაზე დავბადებულვარ,
ვიცი, იქვე მოვკვდები,

მე გული მაგარი მაქვს,
სულაც არ შევშინდები [ლაზური ხალხური პოეზია, 1972:86].

ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობის დროს ბუნების სტიქიის მიმართ არსად საჭიროებს ისეთ სიფრთხილეს და დიდ პრქატიკულ გამოცდილებას, როგორსაც ზღვაზე, ამიტომ ყოველი მეთევზე კარგი მეტეოროლოგიც უნდა იყოს, მიუხედავად ამისა მეზღვაურთა ცხოვრება მაინც სავსეა საბედისწერო შემთხვევებით, მაგრამ მეთევზე-მებადურთა რწმენით, სანაოსნო-სათევზაო ამინდს „სველ მინდორზე“ მყოფთა წარმატებასა და წარუმატებლობას ღმერთი განაგებს. საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ხალხური ტექნოლოგიის საფუძველზე დამზადებული თევზის ზეთი და წებო დიდხანს ძლებს. მათი შენახვა წლების განმავლობაში შეიძლება და მეთევზე ვაჭარი დაზარალებული არასოდეს რჩება. ნედლი თევზით ვაჭრობა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

რაც შეეხება მეთევზე - მენავეთა საქმიანობამ ლაზურ ფოლკლორში ჰპოვა ასახვა. მათგან საინტერესოა სიმღერა „ჰელესა“, რომელიც მთელ ლაზეთშია პოპულარული და იმღერება, როგორც ზღვიდან ნავის, ღუზის, თუ ბადის ამოთრევისას, ისე ხმელეთზე ტვირთის გადატანა გადათრევის დროს და ქორწილში [ლაზეთი, 1964:125]. წარსულში ლაზ მშენებლებს მიმოსვლა ჰქონდათ დასავლეთ საქართველოს კუთხეებში. ისინი აქ აშენებდნენ თვეობით და წლებით საცხოვრებელ და სხვა ნაგებობებს, ამზადებდნენ სამშენებლო მასალებს და სრულიად ბუნებრივია, რომ სამშენებლო მასალი დამზადებისა და გადატანის დროს ლაზებს ეთქვათ სიმღერა „ჰელესა“ და ეს სიმღერა შემდეგ გავრცელებულიყო ადგილობრივ მცხოვრებლებში. შეძახილ „ჰელესასთან“ ახლოს არის შეძახილი „ლესა“, ლაზურში თევზჭერის იარაღის აღმნიშვნელ სახელთან. „ლესა“ გიდლის ფორმის შეკრული წნულია, რომელსაც დასავლეთ საქართველოში „გოდორს“ (გოდორას) უწოდებდნენ, სამეგრელოში „კუნო“ ან „ქუფე“. „ლესა“ თევზსაჭერ იარაღს აღნიშნავს ვიწურ და არქაბულ კილოკავებში. მდინარეებში ჩაგდებულ ლესაში ვარდება თევზი და მასში თან და თან გროვდება. დამძიმებული ლესას გამოტანას მდინარიდან გარკვეული კოლექტიური ძალა სჭირდებოდა, რამაც წარმოშვა შეძახილი ჰელესა (ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 228). „ჰე“ შორისდებულია, რომელიც ქართულშიც და ლაზურშიც მოწოდებას გამოხატავს. შეგვიძლია გავიმეოროთ ს. ნოელის ცნობა, რომ ანტიკურ ხანაში ტრაპიზონის დასავლეთით მდინარე ჰადისის შესართავთან განვითარებული ყოფილა მარილის წარმოება, რომელსაც უდიდესი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა. შავი ზღვის აუზის სხვადასხვა კუთხიდან აქ მოდიოდნენ მეთევზეები თევზის დამზადებისათვის საჭირო მარილის მისაღებად, რაც ლაზებს საშუალებას აძლევდა რომ დიდხანს შეენახათ თევზი და შესაბამისად გამოეყენებინათ კულინარიაში, ლაზების კულინარია დაკავშირებულია თევზის მოპოვებასთან და მათ 40 დასახელების თევზის კერძი აქვთ [კულტურათა დიალოგის ფესტივალი, 2014]. კარგად არის

ასახული ლაზების საქმიანობა ლაზი მარინისტი მხატვრის ხასან ჰელიმიშის შემოქმედებაში, რომლის მხატვრული ტილოები დაცულია სარფის ლაზური ენოგრაფიული მუზეუმში [ხასან ჰელიმიში პოეზია ფერწერა, 2012].

გამოყენებული ლიტერატურა

ზ. თანდილავა , 1072, „ლაზური ხალხური პოეზია“ .

მ. ვანილიში, ა.თანდილავა, 1964, „ლაზეთი“.

„სარფი“. (2015).

„ხასან ჰელიმიში პოეზია ფერწერა“, 2012. (ალბომი)

„კულტურათა დიალოგის ფესტივალი“, 2014, (ბუკლეტი)

თ. მიქელაძე, 1967, „ქსენოფონტეს ანაბასისი“.

ხასან ჰელიმიში. 2005, „ხასან ჰელიმიში ლექსები ბირაფები“

მ. ჩიქოვანი, 1975, „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“.